



MES 5 23 0000283228



13/03/2023

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 24 თებერვალს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო)
) წევრები:**

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ელბაქიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო გორგოშაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი;

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- თაბუკა ციმინტია
- ვერიკო ჭილაძე
- ნინო ბოკუჩავა
- თამარ გიორგობიანი
- მამუკა ხოშტარია
- დავით კუპატაძე
- ცოტნე ქორჩილავა
- ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
- ირმა ქორთუა
- ნინო თამაზაშვილი
- ქეთევან ანთაძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy

დირექტორის წარმომადგენელი - ნონა ქირია;

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნინო ცხოვრებაძე.

სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"

დირექტორის მოადგილე - კახა ბოლქვაძე.

სსიპ კოლეჯი "ბლექსი"

კოლეჯის დირექტორი - გიორგი გოგიტიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი - ინგა ლომთათიძე;
სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი - გიორგი ფუტყარაძე.

შპს ბარაკონი

დირექტორი - გიორგი ფოფხაძე;
დირექტორის მოადგილე - ნინო ბოკერია;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო ჭითანავა;
ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით კონსულტანტი - ნინო ხაჩიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. „შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N168, 2019 წლის 17 სექტემბრის N190, 2019 წლის 17 სექტემბრის N189, 2020 წლის 27 თებერვლის N38, 2020 წლის 2 აგვისტოს N653484, 2020 წლის 2 აგვისტოს N653483, 2020 წლის 2 აგვისტოს N653482, 2021 წლის 17 ივნისის N587883, 2021 წლის 17 ივნისის N587874 და 2022 წლის 15 მარტის N260531 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის N78882 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy - ში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯ "ბლექსიში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით,

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს N923923 გადაწყვეტილებით სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღას“ (ს/კ: 246954620) 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. საბჭოს სხდომის ოქმის N923107 შესაბამისად, 2023 წლის 5 თებერვლამდე, კოლეჯს უნდა მოეხდინა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესრულებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება.

2021 წლის 17 აგვისტოს სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ შემოსული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 13 აგვისტოს წერილის, კოლეჯის I, II და III კორპუსების და კოლეჯის დაბა ხულოს ფილიალის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტების საფუძველზე, სსიპ კოლეჯმა „ახალი ტალღა“ თავისი ძალებით და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა ყველა ხარვეზის გამოსწორებისათვის მიმართული ქმედითი ნაბიჯები.

დღევანდელი მდგომარეობით ქობულეთის მისამართზე პირველი კორპუსზე საევაკუაციო კიბის მონტაჟის გარდა ყველა სამუშაო დასრულებულია. აღნიშნული საევაკუაციო კიბის სამონტაჟო სამუშაოებისათვის გამოვლენილია ორგანიზაცია (ტენდერი NAT220028406), რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება (2023 წლის 20 იანვრის ხელშეკრულება N03-08/08). ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, ვალდებულია სამუშაოები დაასრულოს 2023 წლის 01 მარტამდე.

დაწესებულების გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნის მისაღებად სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ საჭიროა განახლებული საევაკუაციო გეგმების შემუშავება/განთავსება. ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ექსპერტების მოწვევა სახანძრო უსაფრთხოების დოკუმენტის მისაღებად, რასაც დაჭირდება გარკვეული დრო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა ცენტრთან შუამდგომლობის თხოვნით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2023 წლის 3 თებერვალს (ცენტრში რეგისტრაციის N118624) შემოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლებს განვითარების დეპარტამენტის უფროსის წერილი, ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი კომპონენტების შემოწმების მიზნით, მონიტორინგის განხორციელების პერიოდის გადავადების შესახებ და მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განსაზღვრულიყო 2023 წლის 29 მაისი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამ გამოიწვია მოთხოვნილი რეკომენდაციების ვერ შესრულება, იმ ვადაში რა ვადაც იყო განსაზღვრული და 2023 წლის 29 მაისი თუ იყო რეალისტური, ისევ ხომ არ შეიცვლებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ერთ-ერთი საკითხი დაკავშირებული იყო სამშენებლო ინფრასტრუქტურასთან, რეალურად პროექტი უნდა დასრულებულიყო თებერვლის შუა რიცხვებში, მაგრამ უამინდობის გამო შეფერხდა. მისი თქმით, სხვა ყველა პირობა შესრულებული ჰქონდა კოლეჯს. რაც შეეხება თარიღს, რეალისტურია და არ შეიცვლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა აღნიშნული საკითხი. მისი თქმით, ვინაიდან 5.1 კომპონენტი სასწავლო პროცესის მსვლელობას ხელს არ უშლიდა, ამასთან 5.1 კომპონენტის მეტწილი შესაბამისობა სრულად დასაშვები იყო და არ მოახდენდა ზეგავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე. ამ შემთხვევაში, საბჭოს წევრები არ იქნებიან წინააღმდეგი გაჟღერებულ შუამდგომლობაზე, კერძოდ, საბჭო თანახმაა მონიტორინგის თარიღი განისაზღვროს 2023 წლის 29 მაისით.

პირველი საკითხი: „შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №168, 2019 წლის 17 სექტემბრის №190, 2019 წლის 17 სექტემბრის №189, 2020 წლის 27 თებერვლის №38, 2020 წლის 2 აგვისტოს №653484, 2020 წლის 2 აგვისტოს №653483, 2020 წლის 2 აგვისტოს №653482, 2021 წლის 17 ივნისის №587883, 2021 წლის 17 ივნისის №587874 და 2022 წლის 15 მარტის №260531 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის №78882 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. საკითხი ეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის №78882 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური ხასიათის ცვლილებას, კერძოდ, „მშენებლობის მწარმოებლის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში (დანართში) პროგრამის განხორციელების ფორმის გრაფაში მითითებული იყო მოდულური, ნაცვლად დუალურისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება.

დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, აღნიშნულ გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური უზუსტობა. მან ასევე დაადასტურა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მწარმოებელი“ განხორციელების ფორმა იყო დუალური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე „შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N168, 2019 წლის 17 სექტემბრის N190, 2019 წლის 17 სექტემბრის N189, 2020 წლის 27 თებერვლის N38, 2020 წლის 2 აგვისტოს N653484, 2020 წლის 2 აგვისტოს N653483, 2020 წლის 2 აგვისტოს N653482, 2021 წლის 17 ივნისის N587883, 2021 წლის 17 ივნისის N587874 და 2022 წლის 15 მარტის N260531 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის N78882 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N168, 2019 წლის 17 სექტემბრის N190, 2019 წლის 17 სექტემბრის N189, 2020 წლის 27 თებერვლის N38, 2020 წლის 2 აგვისტოს N653484, 2020 წლის 2 აგვისტოს N653483, 2020 წლის 2 აგვისტოს N653482, 2021 წლის 17 ივნისის N587883, 2021 წლის 17 ივნისის N587874 და 2022 წლის 15 მარტის N260531 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის N78882 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხრილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

საბჭოს სხდომას შემოუერთა ნინო გორგოშაძე.

მეორე საკითხი: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy - ში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების

მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თაბუკა ციმინტია მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის საფუძველზე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - თაბუკა ციმინტია- (თავმჯდომარე), ვერიკო ჭილაძეს - (წევრი) და დარგის ექსპერტს - ნინო ბოკუჩავას, დაევალა 2022 წლის 5, 6 და 7 დეკემბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორიები, რის შედეგადაც სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. დასკვნის პროექტის შედგენის დროს გამოვლინდა გარკვეულ ინდიკატორებზე შეუსაბამობა, თუმცა დაწესებულების მიერ გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე ექსპერტებმა შეცვალეს შეფასება.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა თაბუკა ციმინტიამ და ვერიკო ჭილაძემ ერთობლივად.

- 1.2.1.3 დაწესებულებას მიცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით თანხვედრაში მოიყვანოს მეთოდოლოგიაში გაწერილი ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების მექანიზმები და მისი რეალურად განხორციელების პერიოდი. დამატებითი კონტროლის მექანიზმები გაიწეროს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის თანხვედრის შემოწმებასთან დაკავშირებით.
- 1.2.2.1 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით მეთოდოლოგიაში გაიწეროს წლიური სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგისა და ანგარიშის მომზადების კონტროლის მექანიზმები, რაც საფუძველს შეუქმნის და გაადვილებს საბოლოო მონიტორინგისა და ანგარიშის მომზადების პროცესს.
- 1.2.2.3. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით „სტრუქტურული ერთეულების დებულების“ დოკუმენტში გაწეროს

სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის ანგარიშების საჯაროობაზე პასუხისმგებელი პირი და გამოქვეყნებაზე კონტროლის მექანიზმები.

- 3.2.1.4. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია უზურნველყოს შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება და ამავე მექანიზმის საფუძველზე გარკვეული თანხის გათვალისწინება ბიუჯეტში.
- 3.2.1.5. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია უზურნველყოს შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებში ხარისხის უზურნველყოფის შიდა მექანიზმების შესრულების კონტროლის ასახვა და ამასთანავე მოახდინოს კმაყოფილების კვლევის კითხვარის გადახედვა/განვითარება.
- 3.2.2.4. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია უზურნველყოს შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით კარიერული მომსახურების კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგის საფუძველზე მყისიერი რეაგირების განხორციელება, რაც გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.
- 4.1.1.2 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით დანიშნოს სასწავლო პროცესის მენეჯერი ინტერესთა კონფლიქტის და შრომის კოდექსის გათვალისწინებით.
- 4.1.1.3 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის და კოლეჯის ძირითადი საქმიანობის შესრულებისთვის დაინიშნოს სასწავლო პროცესის მენეჯერი.
- 4.1.2.2 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით მექანიზმებში გაიწეროს კადრების მოზიდვის და დასაქმების მექანიზმების შესრულების კონტროლი.
- 4.2.1.1 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით განისაზღვრო პირი/სამსახური ვის მოვალეობაშიც გაიწერება პერსონალის შეფასების პროცესის შესრულების კონტროლი.
- 4.2.1.2 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით განსაზღვროს პირი, რომლის ვალდებულებებში გაიწერება პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის ჩატარების პროცესზე, ანალიზსა და შემდგომი გეგმის შედგენის პროცესზე პასუხისმგებლობა.
- 5.1.1.7 დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია უზურნველყოს შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით „ხარისხის უზურნველყოფის შიდა მექანიზმები“-ში მატერიალური რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების მექანიზმების გაწერა, რაც მატერიალური რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავებას მოიაზრებს.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:

- 1.1.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, მის მიერ გადახედილ იქნას ხედვის ნაწილი და განისაზღვროს მისი მიზნების მიღწევის პერიოდი.
- 1.2.1.2 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ კოლეჯის მიერ მოხდეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მეტი გარე დაინტერესებული პირის ჩართვა და პროექტის გაზიარება, უკუკავშირის მისაღებად, მის დამტკიცებამდე, რათა პროცესი გახდეს მეტად თანამონაწილეობითი.
- 1.2.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სტრატეგიული დოკუმენტის ვადაზე ადრე შეცვლის შემთხვევაში შესაბამის დოკუმენტაციაში აისახოს შეცვლის საფუძველი.
- 1.2.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში რესურსების ნაწილში, განსაკუთრებით ფინანსური მიმართულებით განსაზღვროს კონკრეტულად საჭირო რაოდენობა და რესურსის მიღების წყარო.

- 3.1.1.1 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გარე მობილობისათვის გააფორმოს მემორანდუმი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებთან.
- 3.1.1.1 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს გონივრული ვადები სტუდენტებისათვის შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით.
- 3.1.1.1 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გადახედოს მოდულის/სწავლის შედეგის გადაბარების პროცესს, როგორც წინაპირობის მქონე, ასევე წინაპირობის გარეშე არსებული მოდულების შემთხვევაში, გასაზღვროს გონივრული ვადები და ასახოს რეგულაციაში.
- 3.1.1.1 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები, რომელიც მოთხოვნილია კანონმდებლობის შესაბამისად
- 3.1.1.2 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტრუქტურული ერთეულების დასახელება და დებულების დოკუმენტში - „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ გაწერილი პოზიციები მოიყვანოს თანხვედრაში.
- 4.2.1.3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების სწავლების მიმართულებით საჭიროების კვლევა და განვითარების აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.
- 4.2.1.5 რეკომენდაცია მექანიზმებში გაწეროს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და განხორციელების პროცედურები.
- 2.4.1.1 კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში გაასწოროს არსებული უზუსტობა.

დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა, მხოლოდ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში გაასწოროს არსებული უზუსტობა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულადაა აღჭურვილი მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე მატერიალური რესურსით, პედაგოგთა პროფესიული უნარები დასტურდება ასევე გასაუბრებისა და ნამუშევრების დათვალიერებით. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები ან/და პრობლემები მყისიერად განიხილება ადმინისტრაციის მიერ და დგინდება მისი გადაჭრის გზები, კოლეჯი მთლიანად მორგებულია სტუდენტთა ინტერესებს, რაც ასევე ასახულია და დასტურდება კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტითა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, ხომ არ შეექმნათ მოსაზრება იმისა, რომ დაწესებულებაში ვიზიტამდე არ ხორციელდებოდა ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილი პროცესები, რომლებზეც არ იყო წარმოდგენილი დამაჯერებელი მტკიცებულებები.

ვერიკო ჭილაძის განცხადებით, რეალურად პოზიტიური შეფასება გამოჩნდა გასაუბრებების დროს, რაც ექსპერტებმა აქტიურად განახორციელეს, სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან, ძველ და ახალ ადმინისტრაციულ თანამშრომლებთან და დირექტორთან, სადაც ფაქტობრივად ჩანს, რომ სწავლება მიმდინარეობს. მისი თქმით, პროცესები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კოლეჯის საქმიანობისთვის არის განხორციელებული, თუმცა სამწუხაროდ, მტკიცებულებებში დაწესებულებას დიდი პრობლემები ჰქონდა. ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის კურსდამთავრებულები აქტიურად არიან დასაქმებულები და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი, ამიტომ ექსპერტებისთვის რთული იყო არ შეეხედათ პოზიტიურად ყოველივესთვის.

თაბუკა ციმინტია დაეთანხმა ვერიკო ჭილაძეს და აღნიშნა, რომ პროგრამული ნაწილი იმდენად შთამბეჭდავი და საინტერესო იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო პროგრამულ ნაწილს და აქედან გამომდინარე პოზიტიურად შეხედეს ამ პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა რომ მათი აზრი და შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია კოლეჯის განვითარებისთვის. რაც შეეხება ხარვეზებს, მისი განცხადებით, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული იყო რომ 5 თვის ვადაში კოლეჯი გამოასწორებდა ხარვეზებს, მეტწილი შესაბამისობიდან გადავიდოდა სრულ შესაბამისობაში.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რითი იყო გამოწვეული ხარვეზები კოლეჯში, იმიტომ რომ ასეთი ტიპის შემთხვევა ცოტა იშვიათია, როდესაც ავტორიზებული დაწესებულება ფაქტობრივად ვერ ადასტურებს სანდო მტკიცებულებებით ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული რიგი პროცესების მიმდინარეობას და ამაზე არსებობს არა პირდაპირი, არამედ ირიბი მტკიცებულებები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯში განხორციელდა რეორგანიზაცია, მთლიანად შეიცვალა მმართველი ჯგუფი და მტკიცებულებების ნაწილი დაიკარგა და ამიტომ ვერ მოიძებნა, თუმცა რეალურად ყველა ეს პროცესები ხორციელდება.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საკითხის კენჭისყრამდე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ვალერი გულბანი: „მე თანახმა ვარ რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება. სამწუხაროდ, კოლეჯის წინა პერიოდის მუშაობას არ ვიცნობ, მაქსიმალურად ვუსმენდი კოლეგებს, მათ კომენტარებსა და მოსაზრებებს, ვიზიარებ იმ პოზიციას, უმეტესწილად, რაც გამოიკვეთა, კოლეჯის მუშაობის პროცესში სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, რომ ხარვეზი არ დაფიქსირდა, თუმცა, მე პირადად გავიზიარებდი და დავეთანხმებოდი იმ პოზიციას, დარგის ექსპერტი რომ ვყოფილიყავი, რომ უფრო სხვა შეფასებას მივცემდი საწყის ეტაპზე, რადგან, მიუხედავად იმისა, თუ რა წარმატებით მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, თუ კი შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას არ ეთმობა საკმარისი ადამიანური რესურსი და საკმარისი დრო, სამწუხაროდ ის მიღწეული შედეგის და ჩატარებული სამუშაოს წარმოჩენა ვერ ხერხდება და შესაბამისად ხარვეზის მიზეზი შესაძლოა გახდეს მომავალში, მითუმეტეს, თუ კოლეჯს ბრენდი აქვს შექმნილი ბაზარზე, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ შემთხვევის შემდგომ საქმეს“.

ნინო ველთაური: „მე თანახმა ვარ რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება. ერთი ის, რომ Natali Academy პირადი სუბიექტური მოსაზრებით და ხელთარსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემიძლია ვთქვა, რომ არის ორგანიზაცია და დაწესებულება, რომელსაც თავისი ნიშა აქვს დამკვიდრებული, აქვს თავისი ხარისხი, რომელსაც ის იცავს, ვითვალისწინებ იმას, რომ ამ ორგანიზაციას ჰქონდა გარკვეული გამოწვევები ორგანიზაციული კუთხით, ასევე იმ გარდამავალ ეტაპს, რასაც ჰქვია ძველი სტანდარტებიდან ახალ სტანდარტებზე გადასვლის ეტაპი, ამიტომ ვფიქრობ, რომ მივცეთ დაწესებულებას შესაძლებლობა მოწესრიგდეს, ისე რომ

არ შეწყდეს სასწავლო პროცესი, გააგრძელოს კიდევ უფრო კარგი ხარისხით განათლების მიცემა თავის სტუდენტებზე. ოღონდ მაქვს მოლოდინი, განმეორებითი მონიტორინგის დროს სტანდარტებით შესრულება პრაქტიკაშიც და დოკუმენტებში იქნება ძალიან კარგი".

ტიტე ბოლქვაძე: „რადგანაც ექსპერტების დასკვნიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად, მე თანახმა ვარ რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება, ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიღებთ გამონაკლის გადაწყვეტილებას, ჩვენ გვამდევს კანონმდებლობა ამის საშუალებას, ოღონდ მომდევნო შემოწმების პირობით".

ნინო გორგოშაძე: „მე თანახმა ვარ რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება, ვხედავთ პოტენციალს ამ სასწავლებლის, რომელსაც მუდმივად შეუძლია მოამზადოს კვალიფიციური და საჭირო კადრები და დიდი იმედი გვაქვს რომ გამოიყენებენ განსაზღვრულ პერიოდს".

მარიამ ქუჩულორია: „მე თანახმა ვარ რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება, ჩემი გადაწყვეტილება დაფუძნებულია თქვენს ნდობაზე, თქვენ გყავთ ლოიალური მომხმარებლები, ასევე, ჩვენ შევხვედრილვართ სხვა სალონებში დასაქმებულ პირებს, რომლებიც თქვენთან იყვნენ გადამზადებული, ამიტომ ძალიან მინდა რომ გააგრძელოთ არსებობა, ძალიან გვინდა რომ ხელი შეგიწყოთ და გამოასწოროთ ის ხარვეზები, რაც დაფიქსირდა. ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ემსახურებით და წარმატებებს გისურვებთ".

ნინო ელბაქიძე: „მე თანახმა ვარ რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება, არ იყო ადვილი გადაწყვეტილების მიღება. ავტორიზაციის საბჭოს ექსპერტებს და ამ შემთხვევაში ორგანიზაცია ვინც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, ჩვენ გვაქვს ერთი საერთო პასუხისმგებლობა და ეს არის პროფესიული სტუდენტი. ერთ-ერთი რის გამოც მე თანახმა ვარ ამ გადაწყვეტილებაზე, არის ის , რომ სტუდენტები არიან კმაყოფილები სასწავლო პროცესით და შედეგით".

შორენა ჯაფარიძე: „მე თანახმა ვარ რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება. ჩვენ გადაწყვეტილების მიღების დროს ვეფუძნებოდით არსებულ კანონმდებლობას, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შეფასებას და რასაკვირველია ექსპერტების დასკვნას, როგორც იცით, ახალი სტანდარტები განვითარებაზეა ორიენტირებული და არა სადამსჯელო ოპერაციების განხორციელებაზე. დაწესებულება ახალი სტანდარტის პირობებში პირველად გადის ამ ეტაპს, მაგრამ შემდგომში. როდესაც ჩაინიშნება მონიტორინგი, საბჭოს შეფასება იქნება ბევრად მკაცრი და გულდასმით იქნება განხილული ის პროცესები, რომლების დაწესებულებაში მიმდინარეობს და მათი განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს საზოგადოებრივ კოლეჯში Natali Academy განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy - ში (ს/კ:404441895) განხორციელებულ

მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 24 თებერვალი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ჩაინიშნოს მონიტორინგი 1-ელ, მე-2 და მე-3 სტანდარტებში სრულად. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 21 აგვისტო.

საბჭოს სხდომა დატოვა რუსუდან გიგაშვილმა.

მესამე საკითხი: სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თამარ გიორგობიანი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა თავად, დარგის ექსპერტებთან ერთად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ „ხის მხატვრული დამუშავების“, „ჰაერის კონდიციონერებისა“ და „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე. აღნიშნული მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა 2023 წლის 20 იანვარს

კოლეჯში „ახალი ტალღა“ (მისამართი: ქობულეთი, რუსთაველის ქ. N154) განხორციელა ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით და შეადგინა მონიტორინგის ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. კოლეჯში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ საქმიან და კოლეგიალურ ატმოსფეროში. ვიზიტის დღეს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, „ხის მხატვრული დამუშავების“, „ჰაერის კონდიციონერების“ და „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, მოდულების განმახორციელებელ პირებსა და ბიბლიოთეკარს. შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური და საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსი, ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის განმავლობაში გამოკვეთილი გარემოებები და მიგნებები.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

დაწესებულება აქტიურად არის ჩართული როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. ერთ-ერთი ასეთი პროექტი, რომელიც განხორციელდა კოლეჯში, იყო USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც საქართველოში “ქემონიქს ინტერნეიშენელის” ფარგლებში განხორციელდა. პროექტის მიზანი იყო ადგილობრივი სუბიექტების კვალიფიკაციის, პროდუქტიულობის და ბიზნეს კავშირების გაძლიერება მოწყვლადი ოჯახებიდან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებამდე. გარდა ამისა, კოლეჯის პარტნიორი ესტონეთის ქალაქ ვალგას სახელმწიფო პროფესიული სასწავლო ცენტრის მოწვევის საფუძველზე, სსიპ კოლეჯის "ახალი ტალღა" კულინარიის ხელოვნების სტუდენტები და პროფესიული მასწავლებლები იმყოფებოდნენ ვიზიტით ზემოთ აღნიშნულ სასწავლებელში, სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის მიღების მიზნით, ქართულმა დელეგაციამ ასევე მონაწილეობა მიიღო ქალაქ პიარნუში გამართულ გრილ ფესტივალზე, სადაც დაჯილდოვდნენ ნომინაციაში "ქართული კულინარიის წარდგენა".

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

2022 წლის 4,5,6 მაისს კოლეჯში ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების ფარგლებში ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“

- 2.2.1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდებულია, პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირთა დამატებით მოძიება და ხელშეკრულების გაფორმება, პროგრამის უფრო მეტად მდგრადობის უზრუნველსაყოფად -რეკომენდაცია შესრულდა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ჰაერის კონდიციონერება“

- 2.1.1.3 გადაიხედოს და გასწორდეს კოლეჯის „სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება“ (ჩანაწერი - „ჰაერის კონდიციონერება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ A - გარემო და C - გარემო), რადგან პროგრამა ითვალისწინებდა B - გარემოსაც - მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება 1“ განხორციელებისათვის -რეკომენდაცია შესრულდა.

- 2.4.1.6 „ჰაერის კონდიცირების“ საგანმანათლებლო პროგრამის C გარემოში გამოიკრას ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები -რეკომენდაცია შესრულდა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“

- 2.2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამისთვის განახლდეს კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ვებტექნოლოგიების ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრული სარეკომენდაციო მოთხოვნებთან -რეკომენდაცია შესრულდა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“

- 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა, რეკომენდებულია, ყველა ჩარხთან იყოს ორი ტიპის ფირნიში: ერთი, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ამ ჩარხზე მუშაობა და მეორე, რა დამცავი საშუალებები უნდა გამოიყენოს სტუდენტმა ამ ჩარხზე მუშაობის დროს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“

- 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია პროგრამის არჩევითი მოდულის, „ვებგვერდისთვის ფოტომასალის შექმნა“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსების (ფოტოაპარატი, ფონების ნაკრები ფოტო სტუდიისთვის, განათების ნაკრები ფოტო სტუდიისთვის, შტატივები) შეძენის შესახებ, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის არჩევითი მოდულების გარეშე განხორციელების თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანა ცვლილება, რაც გულისხმობს პროგრამიდან არჩევითი მოდულების ამოღებას, რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაასწოროს ტექნიკური უზუსტობა და საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის ძირითადი დოკუმენტიდან ამოიღოს არჩევითი მოდულების სწავლის შედეგები.

თამარ გიორგობიანის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ხის მხატვრული დამუშავება“, „ჰაერის კონდიცირება“ და „ვებტექნოლოგიები“, სრულად უზრუნველყოფს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

მამუკა ხოშტარიას განცხადებით, „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მისი თქმით, დაწესებულების მატერიალური რესურსი

უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. „ხის მხატვრულიდამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადოდ აღჭურვილ A, B და C გარემოში. C გარემოში გამოყოფილია ორი სივრცე, სადაც ერთ-ერთში განთავსებულია პოზიციური ჩარხები, ხოლო მეორეში - ტარდება ხის ხელით ჭრისმეცადინეობები. ყველა ჩარხი აღჭურვილია იმ დამცავი საშუალებებით, რომელიც მას ქარხანამ დამზადების დროს გაუკეთა, გაკეთებულია დამიწება, ჩარხებთან გამოკრულია შრომის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული ფირნიშები და აბრები. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის C გარემო სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დავით კუპატაძის განცხადებით, „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული, თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ ფართებში, ასევე, პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტის თქმით, C გარემო განთავსებულია III კორპუსის პირველი სართულის 45,4 კვ. მ ფართში, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით გათვალისწინებული (სასწავლო ფართი არანაკლებ 3 მ 2-ისა ერთ სტუდენტზე) მოთხოვნებით 15 პროფესიული სტუდენტის განთავსებას, გამოკრულია უსაფრთხოების სპეციფიკური ზომებისთვის აუცილებელი ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები. არსებობს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის მოქმედი ჟურნალი.

ექსპერტის განცხადებით, „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 30 ადგილი ორ ცვლაში (მათ შორის 15 ადგილი ინტეგრირებული მიდგომით სწავლებისათვის). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი შესაბამისი გარემო ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომით სწავლებისათვის აუდიტორია. უნდა აღინიშნოს, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯს მისცა რეკომენდაცია პროგრამის არჩევითი მოდულის, „ვებგვერდისთვის ფოტომასალის შექმნა“ განხორციელებისთვის, შეეძინა საჭირო რესურსები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის პაკეტითა და კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და დაწესებულებას აქვს აღნიშნული მოდულისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, კოლეჯმა საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანა ცვლილება და პროგრამას არჩევითი მოდულის გარეშე განახორციელებს, თუმცა, „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის ძირითად დოკუმენტში ფიქსირდება ტექნიკური უზუსტობა აღნიშნული არჩევითი მოდულის სწავლის შედეგების სახით.

აქვე კომენტარი გააკეთა ნანი დალაქიშვილმა. საკითხი ეხებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ვებტექნოლოგიები“ კრედიტების ცვლილებას, აღნიშნულის თაობაზე დამატებით მოიწერა დაწესებულებამ. მისი თქმით, გარდა მონიტორინგის საკითხისა

სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს N923923 გადაწყვეტილებაში ცვლილებაც უნდა განხორციელებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მონიტორინგის საკითხის პარალელურად, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი და სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს N923923 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში" (ს/კ:246954620) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ცვლილება განხორციელდეს სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს N923923 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 24 თებერვალი.

მეოთხე საკითხი: სსიპ - კოლეჯ "ბლექსიში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება:

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ

იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო თამაზაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა თავად, დარგის ექსპერტებთან ერთად.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტებს დაევალა სსიპ კოლეჯ "ბლექსი" (განხორციელების ადგილი: შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. No8), ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში გადმოგზავნილი დოკუმენტაცია და შეადგინა დღის წესრიგი , რომლის საფუძველზე მიმდინარე წლის 20 იანვარს ვიზიტი განხორციელდა კოლეჯში „ბლექსი“ (შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. No8) ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, შუახევის ფილიალის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერს, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტს, ადმინისტრაციული პროცესების მხარდამჭერ სპეციალისტს, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტს, შრომის უსაფრთხოებისა სპეციალისტსა და მედდას. დათვალიერდა კოლეჯის მფლობელობაში არსებული სივრცეები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

5.1.1-4 წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია“ ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ხარვეზის გამოწორებას 18 თვეში. აღნიშნულის გათვალისწინებით მთლიანად 5.1. კომპონენტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. მიმდინარე წარმოების (მონიტორინგის) ფარგლებში, ექსპერტთა მიერ აღნიშნული კომპონენტი შეფასებულია, როგორც „სრულად შესაბამისია“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.1.2-1; 5.1.2-2; 5.1.2-3; 5.1.2-4 წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორები შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისია“ ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა. მიმდინარე წარმოების (მონიტორინგის) ფარგლებში, ექსპერტთა მიერ აღნიშნული კომპონენტი შეფასებულია, როგორც „სრულად შესაბამისია“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ "ბლექსიში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ "ბლექსიში"(ს/კ: 245610398) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 24 თებერვალი.

საბჭოს წევრმა ნატალია კვაჭანტირაძემ დატოვა საბჭოს სხდომა.

მეხუთე საკითხი: შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება:

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. შპს „ბარაკონში“ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს (შემდგენლობა: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა ქორთუა - ექსპერტთა ჯგუფის წევრი), დაევალა კოლეჯ ბარაკონში 2023 წლის 16 იანვარს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) 2022 წლის 24 ივნისის N702806 ოქმის, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2022 წლის 5 დეკემბრის N1544095 წერილის საფუძველზე გეგმიური მონიტორინგის განხორციელება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტის გ.ა) და გ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება. ვიზიტის ადგილი ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას N4. ექსპერტის განცხადებით, ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობასა და საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტებმა შეისწავლეს ავტორიზაციის სტანდარტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ასევე სტუდენტთა უფლება-მოვალეობებთან და პროფესიულ სტუდენტთან კომუნიკაციის მექანიზმების შესახებ საკითხები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაცია: პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებებში არის ჩანაწერი, რომ ისინი დოკუმენტზე ხელმოწერამდე უნდა გაეცნონ მარეგულირებელ დოკუმენტებს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რომელს. ექსპერტთა რეკომენდაციით სასურველია უფრო ნათელი გახდეს ჩანაწერი და დაკონკრეტდეს რომელ დოკუმენტებზეა საუბარი. შესრულების სტატუსი: შესრულებულია.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:

III სტანდარტი

ინდიკატორი 3.1.1.1 პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა; ვიზიტის პერიოდში კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ მე-10 მუხლის ჩანაწერი რომლითაც დადგენილია სტუდენტის ინფორმირების საკითხები, დაამატოს სასწავლო შინაგანაწესის მე-18 მუხლში „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინფორმირებას“, ვინაიდან სტუდენტი კოლეჯთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით ადასტურებს სასწავლო შინაგანაწესის გაცნობას და არა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების დირექტორი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:


მომხრე: 9

